**პროექტის სახელწოდება:** ,,დღის წესრიგის 2030 მოთხოვნების გათვალისწინება რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშებში საქართველოში“
**პროექტის N: 17.2129.9-006.00**
**მომსახურების შესრულების ვადა: 03.09.2018-30.12.2018**

**ტენდერის განაცხადი**
**რეტროსპექტიული რეგულირების ზეგავლენის შეფასება (ex-post RIA)**
**მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმა საქართველოში**

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) რეგიონული პროგრამის ,,ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოება“ ოფისი, ადგილობრივ (რეგისტრირებულ) პრეტენდენტებს, რომლებსაც აქვთ რეგულირების ზეგავლენის შეფასების (შემდგომში - RIA) განხორციელების გამოცდილება, მონაწილეობის მისაღებად იწვევს ტენდერში შემდეგი პირობებით:

## I. ზოგადი მიმოხილვა

ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის დაჩქარების, ბიზნესის დაწყებისა და წარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის და გადასახადების ადმინისტრირების სრულყოფის მიზნით, საქართველოში 2016 წელს მოგების გადასახადის რეფორმა განხორციელდა. რეფორმა ითვალისწინებდა მოგების გადასახადის დაბეგვრის ესტონურ მოდელზე გადასვლას, შედეგად, საწარმოები გადასახადით იბეგრებიან მოგების განაწილებისას; ცვლილებების დროს შენარჩუნდა მოგების გადასახადის განაკვეთი - 15 პროცენტი; შენარჩუნდა პროცენტზე, როიალტზე და დივიდენდზე არსებული განაკვეთი; საწარმოებს, რომლებიც იბეგრებიან ახალი რეჟიმით, არ აქვთ მიმდინარე (საავანსო) გადასახდელების გადახდის ვალდებულება; ამასთანავე მოგების გადასახადის ახალ მოდელზე (განაწილებულ მოგების გადასახადის მოდელზე) გადასვლა საფინანსო სექტორის წამომადგენლებისათვის (კომერციულ ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო ორგანიზაციების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდიებისათვის) გადავადდა რამდენიმე წლით. მოგების გადასახადის ახალი რეჟიმი 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა.

2017 წელს მოგების გადასახადით დაბეგვრის რეჟიმის ცვლილებისა და რეფორმის ამ დრომდე არსებული შედეგების იდენტიფიცირების მიზნით, მნიშვნელოვნად განისაზღვრა მისი ანალიზი რეგულირების ზეგავლენის შეფასების მექანიზმის გამოყენებით. რეფორმის რეტროსპექტიული შეფასება გამოავლენს მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი რეჟიმის შედეგებსა და ხარვეზებს და მოგვცემს შესაძლებლობას, გატარდეს შესაბამისი საკანონმდებლო და პრაქტიკული ცვლილებები.

DRAFT

2015 წლის სექტემბერში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 193 წევრი სახელმწიფო მდგრადი განვითარების მიზნებზე შეთანხმდა. დღის წესრიგი 2030 მდგრადი განვითარების 17 მიზანს (SDGs) და 169 ამოცანას აერთიანებს. დღის წესრიგი 2030 არის ისტორიული მნიშვნელობის გლობალური შეთანხმება, რომელიც საერთაშორისო თანამშრომლობის ახალ, ყოვლისმომცველ ჩარჩოდ მიიჩნევა. 2016 წელს საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ნიუ-იორკში გაეროს მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმის (HLPF) ფარგლებში მდგრადი განვითარების შესახებ ეროვნული ანგარიში[1] წარადგინა და ამით გამოთქვა მზადყოფნა, მდგრადი განვითარების ეროვნული გეგმა შეუსაბამოს დღის წესრიგის 2030 მდგრადი განვითარების მიზნებს. გარდა კონკრეტული მიზნებისა, დღის წესრიგი 2030 ზოგადი მიზანია, მდგრადობის სამივე განზომილების - ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი თანაბარი გათვალისწინება. დღის წესრიგის 2030 ერთ-ერთი - მე-16 მიზანი ეხება მშვიდობის, სამართლიანობისა და ძლიერი ინსტიტუტების განვითარებას. მდგრადი განვითარების ეროვნული სახელმძღვანელოს საქართველოსთან მისადაგებული 16.6. და 16.7 ამოცანები მიზნად ისახავს 2030 წლისთვის ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭირვალე ინსტიტუტების შექმნასა და ქმედითი ინკლუზიური, მონაწილეობითი და წარმომადგენლობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესის უზრუნველყოფას ყველა დონეზე. სწორედ ამ ამოცანების შესრულებას ემსახურება მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი რეჟიმის რეტროსპექტიული რეგულირების ზეგავლენის შეფასება.

პრობლემის არსი: “საგადასახადო კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებებით, 2017 წლის 1 იანვრიდან შეიცვალა მოგების გადასახადით დაბეგვრის მოდელი. კანონის მიღებით დასახული იყო შემდეგი მიზნები:

1. ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;
2. ეკონომიკური ზრდის დაჩქარება;
3. ინვესტიციების სტიმულირება;
4. საგადასახადო ტვირთის შემცირება;
5. გადასახადების ადმინისტრირების სრულყოფა.

კანონის ამოქმედებიდან წელიწად ნახევრის შემდეგ, არსებული სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე რთულდება იდენტიფიცირება და ანალიზი, თუ რამდენად მიიღწევა კანონით დასახული ზემოაღნიშნული მიზნები. მიუხედავად იმისა, რომ განვლილი პერიოდის განმავლობაში კანონით დასახული საბოლოო მიზნების მიღწევა შეუძლებელი იყო, მნიშვნელოვანია, მოხდეს მიღწეული იმ ერთჯერადი დადებითი თუ უარყოფითი შედეგების იდენტიფიცირება და გაანალიზება, რაც ხელს შეუწყობს იმ შედეგების მიღებას, რომელიც რეფორმის ავტორსა და კანონმდებელს ქონდა განსაზღვრული კანონპროექტის მიღებისას.

[1] Georgia First Voluntary National Review on Implementation of the Sustainable Development Goals

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გადაწყდა, რომ რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდის გამოყენებით შეფასდეს კანონის შედეგები, შეფასების პროცესში გამოყენებულ უნდა იქნეს შეფასების ოთხი ფუნქცია გათვალისწინებით, კერძოდ, კონტროლის, შესწავლის, დიალოგისა და ლეგიტიმაციის.

## II. ტენდერის შინაარსი

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) რეგიონული პროგრამა ,,ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოება“ საქართველოს პარლამენტთან ერთად აცხადებს ტენდერს მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმაზე რეტროსპექტიული (ex-post RIA) რეგულირების ზეგავლენის შეფასების (შემდგომში RIA) განხორციელების თაობაზე დღის წესრიგის 2030 მოთხოვნების გათვალისწინებით.

განსხვავებით პროსპექტიული (ex-ante) ან თანმდევი რეგულირების ზეგავლენის შეფასებისა, როდესაც მოსალოდნელი შედეგების ანალიზი ხორციელდება, რეტროსპექტიული რეგულირების ზეგავლენის შეფასებისას პირველ რიგში შესწავლილ უნდა იქნეს ახალი საკანონმდებლო მოწესრიგების ამოქმედებით დამდგარი, სახეზე არსებული შედეგები. შესაბამისად ძირითადად პასუხები უნდა გაეცეს შემდეგ შეკითხვებს:

- მიღწეულ იქნა თუ ის დასახული მიზნები, რომელიც ახალი რეგულაციის შემოღებას უკავშირდებოდა?
- რა დადებითი და უარყოფითი შედეგები იქნა გამოწვეული, განსაკუთრებით საჯარო ფინანსებსა და ძირითად მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებზე, სახელმწიფო ბიუჯეტის წლიურ დეფიციტზე, რეალურ მთლიან შიდა პროდუქტზე, მთლიან ინვესტიციებზე, სესხებზე საპროცენტო განაკვეთებზე, სავაჭრო ბალანსსა და დასაქმებაზე. აგრეთვე, შედეგების შეფასება უნდა განხორციელდეს ბიუჯეტის შემოსავლების შემცირების შესაძლო კომპენსირების მიზნით ქვეყანაში განხორციელებულ პოლიტიკასთან მიმართებით.
- არსებობს თუ არა კანონში/პრაქტიკაში ცვლილებების განხორციელების საჭიროება? რა სახის ცვლილებები უნდა იქნეს გატარებული?

მთავრობის ნებისმიერი ეფექტიანი საკანონმდებლო და პოლიტიკური ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს ამა თუ იმ სფეროს მოწესრიგებას, უნდა დაექვემდებაროს შესაძლო სოციალურ, ეკონომიკურ თუ გარემოსდაცვითი ასპექტების საფუძვლიან შესწავლა-ანალიზს. ევროკავშირის 2009 წლის დირექტივის მიხედვით[2] "რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესი ამზადებს მტკიცებულებებს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებთათვის მათი პოლიტიკური ალტერნატივების უპირატესობებისა და უარყოფითი მხარეების შესახებ პოტენციური ზემოქმედების შეფასების საშუალებით“.

---

[2] https://ec.europa.eu/info/law/law-making-process/planning-and-proposing-law/better-regulation-why-and-how_en

RIA უნდა განხორციელდეს დღის წესრიგის 2030 ძირითად პრინციპებს გათვალისწინებით, კერძოდ, (i) ინტეგრირებული სისტემა, რომელიც მდგრადობის სამ - გარემოს დაცვით, სოციალურსა და ეკონომიკურ - განზომილებას აერთიანებს; (ii) არავინ უნდა დარჩეს უყურადღებოდ, მდგრადი განვითარების მიზნები უნდა შეეხოს ყველას, მათ შორის ყველაზე ღარიბებსა და მოწყვლად ჯგუფებს, რათა აღმოიფხვრას უთანასწორობა; (iii) ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვა, რაც გულისხმობს, არა მხოლოდ სახელმწიფოს ვალდებულებას განახორციელოს მდგრადი განვითარების მიზნები, არამედ თავად საზოგადოება, მისი ცალკეული ჯგუფები, მოქალაქეები თანაბრად უნდა ჩაერთონ აღნიშნულ პროცესში; (iv) ანგარიშვალდებულების პრინციპი უზრუნველყოფს პროცესის ღიად და გამჭირვალედ წარმართვის შესაძლებლობას.

იმისათვის, რომ RIA-ს პროცესი მაქსიმალურად ეფექტიანად განხორციელდეს, აუცილებელია განისაზღვროს ex-post RIA-ს განხორციელების კრიტერიუმები. პროცესისთვის მნიშვნელოვანია საზოგადოების ცალკეული ჯგუფების კვლევა და მათი გამოკითხვა, როგორც საჯარო სექტორის, იქნება ეს ცალკეული დარგობრივი სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, პარლამენტის დარგობრივი კომიტეტები თუ სხვა, ისე კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების - არასამთავრობო ორგანიზაციები, სამეცნიერო თუ კვლევითი დაწესებულებები, ბიზნეს ასოციაციები. ზემოაღნიშნული პროცესი უნდა წარიმართოს ინკლუზიურად და გამჭვირვალედ, ხოლო მიღებული და დასკვნები აისახოს რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშში.

გამომდინარე იქიდან, რომ რეგულირების ზეგავლენის შეფასება არ არის დღეს მოქმედი საკანონმდებლო პროცესის სავალდებულო ნაწილი, ტენდერში მონაწილეობის მსურველმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს პარლამენტის თანამშრომლების აქტიური მონაწილეობა რეტროსპექტიული RIA-ს განხორციელების პროცესში, მათი უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება, როგორც მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შედეგების შეფასება-ანალიზის ისე, ზოგადად, RIA-ს მეთოდოლოგიის კუთხით.

შედეგად, მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალ რეჟიმზე RIA-ს განხორციელება ხელს შეუწყობს რეფორმის ხარვეზების გამოვლენას, რომელიც ცხადყოფს სამართლებრივ თუ პრაქტიკულ პრობლემებს და შესაბამისი ცვლილებების განხორციელების ალტერნატივებს წარმოაჩენს.

**III. მიზანი და შესასრულებელი სამუშაო**

ტენდერში მონაწილეობის მსურველი იღებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს საქართველოს პარლამენტს RIA-ს განხორციელების მთლიან პროცესში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და ,,რეკომენდაციები რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესში დღის წესრიგის 2030 გათვალისწინება (მთავარი კითხვები)“ გათვალისწინებით.

DRAFT

ტენდერში მონაწილეობის მსურველი იღებს ვალდებულებას შეასრულოს შემდეგი სამუშაოები:

ა) ხელი შეუწყოს საქართველოს პარლამენტს RIA-ს განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფის შექმნაში (თავის მხრივ ტენდერში მონაწილეობის მსურველი უზრუნველყოს RIA-ს განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის სპეციალისტების ჩართვას (1 იურისტი (საგადასახადო სამართალი), 1 ფინანსისტი/საგადასახადოს სპეციალისტი, 1 ეკონომისტი, 1 სოციალური 1 პოლიტიკური მეცნიერი). RIA-ს განხორციელების პროცესში შესაბამისი საერთაშორისო დარგის 1 ექსპერტის ჩართვა სავალდებულოა. შემოთავაზებული ექსპერტების მიერ არსებული საექსპორტო ცოდნა და გამოცდილება უნდა დადასტურდეს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ნიმუშის წარმოდგენით. სატენდერო მასალებში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს საერთაშორისო ექსპერტთან გაფორმებული ხელშეკრულება.

შენიშვნა: პროცესის ობიექტურად წარმართვისთვის, პირები, რომელიც უშუალოდ ჩართულები იყვნენ ზემოაღნიშნული კანონის შემუშავებაში, არ შეიძლება იყოს ექსპერტთა ჯგუფის წევრი.

ბ) უზრუნველყოს RIA-ს განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის ამოცანებისა და ფუნქციების დეტალური და სწორი განაწილება. სამუშაო ჯგუფთან ერთად შეადგინოს RIA-ს განხორციელების დეტალური გეგმა, კონკრეტული ვადების, ეტაპებისა და ბიუჯეტის მითითებით.

გ) RIA-ს განხორციელების პროცესში, RIA-ს განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფის წევრებს ჩაუტაროს RIA-ს მეთოდოლოგიაზე სულ მცირე 4 (ოთხი) თემატური ტრენინგი;

დ) RIA-ს განხორციელების პროცესში ხელი შუწყოს დღის წესრიგის 2030 მოთხოვნების გათვალისწინებას, კერძოდ, RIA-ს ანგარიშის ცალკე თავში ასახოს როგორც დღის წესრიგის 2030 მდგრადი განვითარების შესაბამისი, პრობლემასთან დაკავშირებული მიზნები, ისე პრინციპები. განახორციელოს პრობლემის იდენტიფიცირება ცალკეულ მიზნებთან მიმართებაში, მისი მოგვარების შესაძლო ალტერნატივების ეფექტების ანალიზი ცალკეული მიზნების აღსრულებასთან მიმართებაში.

ე) საქართველოს პარლამენტთან ერთად, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდების გამოყენებით, შეიმუშავოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი რეჟიმის ხარვეზების გამოსწორების შესაძლო გზები/რეკომენდაციები.

ვ) RIA-ს განხორციელების პროცესში გაითვალისწინოს შემდეგი ინდიკატორები: დღის წესრიგის 2030 განხორციელების საქართველოს ეროვნული სახელმძღვანელო (ასეთის

არსებობის შემთხვევაში); სხვა შემთხვევაში, გამოიყენოს დღის წესრიგის 2030 მე-16 მიზნის გლობალური ინდიკატორები;

ზ) ხელი შეუწყოს RIA-ს განმახორციელებელ სამუშაო ჯგუფს გამართოს კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის საქართველოს სამინისტროებთან და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან, ასევე საქართველოს პარლამენტის შესაბამის დარგობრივ კომიტეტებთან, ასევე სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან RIA-ს განხორციელების მთელი პროცესის განმავლობაში. ასევე უზრუნველყოს მონიტორინგისა და შეფასების განხორციელება, რამდენად იქნა გათვალისწინებული კონსულტაციების შედეგები RIA-ს საბოლოო ანგარიშში;

თ) ხელი შუწყოს RIA-ს განმახორციელებელ სამუშაო ჯგუფს მონაცემთა შეგროვებასა და შეფასებაში;

ი) RIA-ს განხორციელების პროცესში, ხელი შეუწყოს საქართველოს პარლამენტს გამოვლენილი შესაძლო ალტერნატივების შეფასებასა და შედარებით ანალიზს მდგრადობის სამივე განზომილების - გარემოსდაცვითი-ეკონომიკური და სოციალური გათვალისწინებით;

კ) ხელი შეუწყოს RIA-ს განმახორციელებელ სამუშაო ჯგუფს როგორც RIA-ს შუალედური, ისე საბოლოო ანგარიშის მომზადებაში, ასევე ამ ანგარიშების პრეზენტაციების ორგანიზებაში. საბოლოო ანგარიშის პრეზენტაცია, საქართველოს პარლამენტთან ერთად, განახორციელოს საჯარო განხილვის ფორმატში.

ლ) GIZ-ის სამართლის პროგრამის RIA-ს და SDG-ის საკითხებში საერთაშორისო ექსპერტებთან მჭიდრო კოორდინაცია და თანამშრომლობა, RIA-ს პროცესისა და SDG-ის სრულყოფილად ასახვისა და RIA-ს შედეგების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

## IV. ტენდერში მონაწილეობის მსურველი და სატენდერო მოთხოვნები

- ადგილობრივი საკონსულტაციო ფირმები;
- ადგილობრივი კვლევითი ინსტიტუტები;
- ადგილობრივი უნივერსიტეტები;
- ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები.

შენიშვნა: ადგილობრივად მიიჩნევა: რეგისტრირებული საქართველოში

ამ თავში ჩამოთვლილი ორი ან მეტი სუბიექტის გაერთიანების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ გაერთიანებას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი ქართული უნივერსიტეტის (ების) მონაწილეობა.

ადგილობრივი ქართული უნივერსიტეტის (ების) მონაწილეობის შემთხვევაში, ტენდერში მონაწილეობის მსურველმა კონკრეტულად უნდა წარმოადგინოს თუ რა სახით და როგორ იქნება ჩართულები უნივერსიტეტი (ები) და RIA-ს პროცესში მათ მიერ უშუალოდ შესასრულებელი სამუშაო და უნივერსიტეტის ინსტიტუციური რესურსის გამოყენების სახე.

**ტენდერში მონაწილეობის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:**

- ✓ RIA-ს განხორციელების დასაბუთებული გამოცდილება (რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის შესაბამისი ნიმუში, სასურველია ex-post RIA-ს ჩატარების გამოცდილება), გარემოსდაცვითი და სოციალური ზეგავლენის შეფასების, სამართლებრივი და პოლიტიკური ანალიზის განხორციელების გამოცდილება;
- ✓ სამუშაო ჯგუფის წევრებს უნდა ჰქონდეთ სულ მცირე 6 წლიანი მუშაობის გამოცდილება შესაბამის დარგობრივ სფეროებში, მათ შორის, სოციალური მეცნიერებების განხრით, როგორიცაა: ეკონომიკა, სოციოლოგია და პოლიტიკის ანალიზი;
- ✓ სამუშაო ჯგუფში უზრუნველყოფილი უნდა იყოს საერთაშორისო დარგობრივი ექსპერტის (სპეციალიზაციით) მონაწილეობა;
- ✓ ჯგუფი დაკომპლექტებული უნდა იყოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე წევრებით, რომელთაც აქვთ ანალიტიკური, წერისა და კვლევების ჩატარების კარგი უნარ-ჩვევები. ასევე რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების ეტაპების, საფეხურებისა და მეთოდოლოგიის შესახებ ტრენინგების ჩატარების გამოცდილება (მაგ., მონაცემთა შეგროვება-დამუშავება, დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციის მეთოდები).
- ✓ გამართულად და დასაბუთებულად წერისა და, შესაბამისად, ანგარიშის წერისა და პრეზენტაციის უნარ-ჩვევები, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე.

*რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც* <u>ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე.</u>

## V. ფინანსური პირობები

მომსახურების ფასის შეთავაზების მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 38,000 ევროს. შეთავაზებები, რომლებიც ცდება აღნიშნულ რაოდენობას, არ განიხილება.

ტენდერში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს მომსახურების ზუსტი დაანგარიშება/ხარჯი (მაგ: ეროვნული/საერთაშორისო ექსპერტების საექსპერტო დღეების, კონფერენციასთან/სამუშაო შეხვედრასთან/ტრენინგთან/განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების, რედაქტორის მომსახურების (აუცილებლობის შემთხვევაში) ხარჯებისა და ა.შ. მიხედვით).

DRAFT

VI. დამატებითი პირობები/შედეგი:

მომსახურების მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს:

- ✓ საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერა RIA-ს განხორცილების მთელი პერიოდის განმავლობაში. მუდმივი კომუნიკაცია როგორც RIA-ს განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფის წევრებთან, ასევე საქართველოს პარლამენტის პროცესთან დაკავშირებულ სხვა თანამშრომლებთან.
- ✓ RIA-ს განხორციელების პროცესში, RIA-ს განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფის წევრებს ჩაუტაროს RIA-მეთოდოლოგიაზე სულ მცირე 4 (ოთხი) ტრენინგი;
- ✓ დაეხმაროს RIA-ს განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფის წევრებს წინასწარ შერჩეულ დაინტერესებულ მხარეებთან (მიზნობრივ ჯგუფებთან, დარგის სპეციალისტებთან, დაინტერესებულ უწყებებთან) პერიოდული შეხვედრების ორგანიზებაში;
- ✓ RIA-ს განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფის წევრებთან ერთად, მოამზადოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი რეჟიმის შედეგებზე განხორციელებული RIA-ს შუალედური ანგარიში და პრეზენტაცია;
- ✓ RIA-ს განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფის წევრებთან ერთად, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლების მონაწილეობით, მოამზადოს და წარადგინოს RIA-ს საბოლოო ანგარიში და ჩაატაროს საჯარო ღონისძიების ფორმატში პრეზენტაცია.

VII. გადახდის წესები

ტენდერში გამარჯვებული ანაზღაურებას მიიღებს სამ ეტაპად, ქვემოთ ჩამოთვლილი სამუშაოს შესრულების შესაბამისად:

პირველი გადახდა ანაზღაურების 25 %

• რეგულირების ზეგავლენის შეფასების დეტალური სამოქმედო გეგმა, შესაბამისი ბიუჯეტის, ვადებისა და მოქმედების ეტაპების მითითებით;

მეორე გადახდა 50 %

• რეგულირების ზეგავლენის შეფასების შუალედური ანგარიში;

მესამე საბოლოო გადახდა 25 %

• რეგულირების ზეგავლენის შეფასების საბოლოო ანგარიშის წარდგენა და საჯარო ღონისძიების ჩატარება ანგარიშის წარდგენის მიზნით.

VIII. დავალების შესრულების ხანგრძლივობა და შესრულების ადგილი

რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების ადგილი არის საქართველო. რეგულირების ზეგავლენის შეფასება მომსახურების მიმწოდებელსა და მიმღებს შორის ხელშეკრულების დადებიდან უნდა განხორციელდეს 4 თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2018 წლის 30 დეკემბრისა.

*შეფასების კრიტერიუმი წარმოდგენილია თანდართული Excel ფაილში.*

DRAFT